



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის
დირექტორის

ბრძანება № 01-01/05

ქ. თბილისი

31.01.2024 წ.

**„ 2024 წელს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შესახებ“
2023 წლის 28 დეკემბრის №01–01/16 ბრძანების ნაწილობრივ
ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

2023 წლის 28 დეკემბერს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის (შემდგომში - „ობსერვატორია“) დირექტორის მიერ გამოცემულ იქნა №01–01/16 ბრძანება „2024 წელს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შესახებ“, რომლის თანახმად, ობსერვატორიის მიერ ყოველგვარი დამატებითი პროცედურების გავლის გარეშე მის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) 2024 წლის განმავლობაში შესვლისა და გადაადგილების უფლების მინიჭების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განსაზღვრულ იქნა „არაუგვიანეს 2024 წლის 15 იანვარი“. მოგვიანებით, აღნიშნული თარიღი შეიცვალა (დირექტორის ბრძანება №01-01.04, 15.01.2024 წ.) და განისაზღვრა „არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვარი“.

განცხადებაზე ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, აგრეთვე, იმისათვის, რომ ობსერვატორიას მიეცეს „2024 წელს ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების წესის“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №01–01/16) მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა 2024 წლის განმავლობაში, ვადის შეუზღუდავად, მიზანშეწონილია, რომ გაუქმდეს არსებული შეზღუდვა („არაუგვიანეს 2024 წლის 31 იანვარი“) გადაწყვეტილების მიღების ვადაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილის, 62-ე მუხლის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 ნოემბრის №227/ნ ბრძანებით დამტკიცებული ობსერვატორიის წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და დირექტორის მოადგილის, ბ. ჩარგეიშვილის მოხსენებითი ბარათის (№96926, 31.01.2024 წ.) გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, ა.წ. 31 იანვრიდან, „2024 წელს სსიპ – საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების შესახებ“ ობსერვატორიის დირექტორის 2023 წლის 28 დეკემბრის №01–01/16 ბრძანება ნაწილობრივ, კერძოდ, ამ ბრძანებით დადგენილი „2024 წელს ობსერვატორიის ტერიტორიაზე (მთა ყანობილი) შესვლისა და გადაადგილების წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.
2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გამოცხადდეს საჯაროდ.
3. ბრძანება ძალაშია მისი გამოცემის დღიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

დ ი რ ე კ ტ ო რ ი



რევაზ ჭანიშვილი